ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2-7

2015 წლის 3 თებერვალი

ქ. თბილისი

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოებისა და თანამდებობათა დასახელებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20–86 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე–20 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოებისა და თანამდებობათა დასახელებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20–86 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 05/01/2015, სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.101.016083) და დადგენილების დანართის მე–7 სტრიქონით გათვალისწინებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსის პირველი მოადგილის თანამდებობრივი სარგო ნაცვლად 2600 ლარისა განისაზღვროს 2000 ლარით, დანართის შესაბამისად.

2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

დანართი

7	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსის პირველი მოადგილე	2 000